საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და
აუდიტორთა ფედერაციას

გვარი,სახელი: დათიაშვილი კონსტანტინე

პირადი №: 60001012235

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ვარ ბაფის წევრი, სურვილი მაქვს დავრეგისტრირდე ბაფის გამგეობის წევრობის კანდიდატად როგორც აუდიტორული ფირმის სეგმენტის წარმომადგენელი.

განცხადებას თან ერთვის:

- *პირადი ხედვა - სამოტივაციო წერილი, ბაფის საქმიანობაში მონაწილეობისა და წვლილის შესახებ*

- *რეკომენდაცია სამუშაო ადგილიდან (აკადემიური სექტორის და აუდიტორული ფირმის წარმომადგენლის შემთხვევაში)*

(ხელმოწერა)

16.11.2022

(თარიღი)

შეგვოსულია
«17» 11 2022წ.
N 25

კონსტანტინე დათიაშვილი

გამგეობის წევრობის კანდიდატი

პატივცემულო დელეგატებო, ძვირფასო კოლეგებო!

ვარ ბაფის თანადამფუძნებელი და სხვადასხვა პერიოდებში არჩეული ვიყავი გამგეობის წევრად, ვხელმძღვანელობდი განათლებისა და სერტიფიცირების კომიტეტს. ასევე, ვიყავი კონსულტანტი წევრებთან მომსახურეობის სფეროში და როგორც გამგეობის წევრი, ვმონაწილეობდი ბაფის მართვასა და საქმიანობის პოლიტიკის განსაზღვრაში. მაქვს ეკონომისტის კვალიფიკაცია და პროფესიონალი ბუღალტრის/აუდიტორის სტატუსი.

თქვენთვის კარგადაა ცნობილი, რომ პროფესიული ორგანიზაციების მართვა, საგანმანათლებლო და სერტიფიცირების პროგრამები სპეციფიურია და ამ მიმართულებით საქმიანობა გარკვეულ ცოდნასა და პრაქტიკულ გამოცდილებას მოითხოვს. შეიძლება ითქვას, რომ წლების განმავლობაში ამ სფეროში საქმიანობით, შევიძინე როგორც აღნიშნული საკითხებისადმი ცოდნა, ისე პრაქტიკული გამოცდილება და შესაძლებლობის ფარგლებში, მოკრძალებული წვლილი შემქონდა ბაფის განვითარების საქმეში.

მოგეხსენებათ, ბუღალტერთა გადამზადება, პროფესიული სერტიფიცირება და უწყვეტი განგრძობითი განათლების ხელშეწყობა ბაფის ძირითადი საქმიანობაა. მინდა აღვნიშნო, რომ ბაფის საგანმანათლებლო სისტემა სრულ შესაბამისობაში ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის განათლების სტანდარტებთან; ბაფის პროფესიული სერტიფიცირების პროგრამა და საგამოცდო სისტემა აკრედიტებული და აღიარებულია ბრიტანეთის ნაფიც ბუღალტერთა ასოციაციისა (ACCA) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის (სარასი) მიერ.

ახალი საკანონმდებლო მოთხოვნებიდან გამომდინარე, ამ მიმართულებით, შემდგომ საარჩევნო პერიოდში მნიშვნელოვანი იქნება სარასთან თანამშრომლობა სერტიფიცირებისა და განგრძობითი განათლების სტანდარტების შესაბამისად, მომზადებული და აღიარებული პროგრამების სრულყოფისა და იმპლემენტაციის კუთხით. აგრეთვე, პროფესიული სერტიფიცირების პროგრამის განხორციელებისას მნიშვნელოვანია ბაფსა და ACCA-ს შორის აკრედიტაციის მოთხოვნათა შესაბამისობის დაცვა და შემდგომ საანგარიშო პერიოდისათვის აკრედიტაციის შენარჩუნება.

ვფიქრობ, გამგეობის წევრად არჩევის შემთხვევაში, ჩემი ცოდნა, კვალიფიკაცია და პრაქტიკული გამოცდილება სასარგებლო იქნება ბაფის წევრების განათლებისა და სერტიფიცირების სფეროში მიღწეული შედეგების არამარტო შესანარჩუნებლად, არამედ მის გასაუმჯობესებლად. ასევე, ბაფის გამგეობის მუშაობის ეფექტიანობის ასამაღლებლად.

პატივისცემით,

კონსტანტინე დათიაშვილი

16.11.2022 წ.

CONSAUDI
*Member of **IECnet***
International Network
Auditing Firm

კონსაუდი
საერთაშორისო ქსელის
***IECnet** წევრი*
აუდიტორული ფირმა

N 05/22 **16 ნოემბერი 2022 წ.**

სარეკომენდაციო წერილი

საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის საერთო კრების დელეგატებს

20 წელზე მეტია კონსტანტინე დათიაშვილი მუშაობს შპს კონსაუდში. მისი, როგორც უფროსი აუდიტორის, თანამდებობრივი ფუნქციაა გარიგების პარტნიორის როლის შესრულება.

მუშაობის სტილის მიხედვით, კ. დათიაშვილი მიდრეკილია გუნდური მუშაობისკენ. იგი მუდმივად ავლენს დაკისრებული მოვალეობის პასუხისმგებლობით შესრულების უნარს.

კ. დათიაშვილი ადვილად შედის კონტაქტში ახალ ადამიანებთან, არის კომუნიკაბელური, მოწესრიგებული და ყურადღებიანი. კონსტანტინს გააჩნია ოფისის თანამშრომლებთან კარგი ურთიერთობის შენარჩუნების უნარი და თავისი მხრიდან ყველა თანამშრომელი პატივის-ცემით ეპყრობა მას.

საზოგადოებრივ საწყისებზე ბაფის თავმჯდომარედ ყოფნის თითქმის ორი ათეული წლის განმავლობაში, მქონდა შესაძლებლობა მენახა კ. დათიაშვილის კეთილი დამოკიდებულება პროფესიის მიმართ და მისი მცდელობა პროფესიული ორგანიზაციის განვითარების, განსა-კუთრებით პროფესიული სერტიფიცირების პროგრამის დანერგვა/დაწინაურების საქმეში.

ზემოთ აღნიშნულისა და ჩემი შინაგანი რწმენის საფუძველზე, შპს კონსაუდის სახელით რეკო-მენდაციას ვუწევ კ. დათიაშვილს საერთო კრების დელეგატების წინაშე, ბაფის გამგეობის წევრად ასარჩევად და მწამს, რომ ამ რეკომენდაციის გათვალისწინებით უეჭველად სწორ არჩევანს გააკეთებთ.

პატივისცემით,
რევაზ ძაძამია
დირექტორი

Revaz Dzadzamia 01025004983

Digitally signed by Revaz Dzadzamia
Date: 2022.11.16 17:14:18

0154 თბილისი, წერეთლის გამზ. №61. რეგისტრირებულია 26.08.1996წ. № 4/4-635. საიდენტიფიკაციო № 201950996.
Tsereteli ave. №61, Tbilisi, Georgia 0154. Phone(+99532) 235-01-57, 235-67-56, Mobil 599-28-04-06, Email: r.dzadzamia@consaudi.ge